მარინა ალექსიძე

ირანელების საქველმოქმედო საქმიანობა თბილისში (XIX-XX საუკუნეების მიჯნა)*

რეზიუმე

მე-19 საუკუნეში თბილისში ირანელთა საქველმოქმედო საქმიანობა ძირითადად ხორციელდებოდა ირანის საკონსულოსა და გენერალური კონსულების მიერ ორი მთავარი მიმართულებით - ჯანმრთელობის დაცვა და განათლება. თავდაპირველად ამგვარი საქმიანობა შწემთხვევით ხასიატს ატარებდა და დაკავშირებული იყო კონკრეტულ პრობლემებთან. ამგვარი ქველმოქმედების მაგალითებია ირანელთა მიერ თბილისში ეპიდემიების დროს თბილისში საავამდმყოფოების გახსნა ირანის კონსულების ინიციატივით და შეძლებული ირანელების დახმარებით. მე-120 საუკუნის დასაწყისში კი ვითარება იცვლება და იქმნება პირველი საქვემოქმედო საზოგადოებები. სტატიაში განხილულია როგორც ცალკეული მოღვაწეების, ისე საზოგადოებების საქვემოქმედო მოღვაწეობის სხვადასხვა ასპექტები.

საკვანძო სიტყვები: *ირანის საკონსულო, მირზა რეზა ხან არფა ად-დოულე, მირზა მაჰმუდ ხან ალა ალ-მოლქი, „ეთეფაყ-ე ირანიან“, ბაჰმან მირზა.*

მეცხრამეტე საუკუნის თბილისში ირანელთა საქველმოქმედო საქმიანობა დიდწილად თბილისში ირანის საკონსულოსა და მისი გენერალური კონსულების ინიციატივითა და ძალისხმევით ხორციელდებოდა. ქველმოქმედების მიზანს თბილისში მცხოვრები გაჭირვებული ირანელების დახმარება წარმოადგენდა და ორი მთავარი მიმართულება ჰქონდა: საგანმანათლებლო და ჯანდაცვითი. თავდაპირველად ქველმოქმედებას სიტუაციური და ერთჯერადი ხასიათი ჰქონდა და კონკრეტული ვითარებითა თუ მოვლენით იყო ხოლმე განპირობებული. მის არაორგანიზებულ ხასიათს და, კერძოდ, მუდმივმოქმედი საქველმოქმედო საზოგადოებების არარსებობას თბილისში ირანის გენერალური კონსული მირზა რეზა ხან არფა ად-დოულე (1853-1937) მის ქვეყანაში ქველმოქმედების პრაქტიკის უქონლობით ხსნიდა: „ჩვენს სპარსელებს, ღვთის წყალობით, აქვთ საკმარისი თანხები და აღმოსავლელი ხალხების გულუხვობა ეჭვგარეშეა, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ამგვარი წამოწყება ჩვენთან პრაქტიკაში არაა. ჩვენი სასულიერო წოდება მეჩეთებში რომ შთაგვაგონებდეს და ჩვენი უბადლო ჟურნალისტები გვითრევდნენ ამ ქველმოქმედებაში, მაშინ ჩვენც არ ვიტყოდით უარს შემოწირულობებზე ასეთი წამოწყებებისთვის...“[1] გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ კავკასიის იმდროინდელი ბიუროკრატია მუსლიმების მიმართ დისკრიმინაციულ პოლიტიკას ატარებდა და, როგორც გაზეთი „ივერია“ იუწყებოდა, „მაჰმადიანებს ნებას არ აძლევდნენ დაეარსებინათ სხვადასხვა საქველმოქმედო საზოგადოება, ნებას არ აძლევდნენ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება მოეწყოთ თავისთვის...“[2]

---

* ნაშრომი მომზადებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის „თბილისის ეთნორელიგიური მოზაიკა (1801-1921)“ (№ FR-21-8081-1) ფარგლებში.

[1] ნ. გელოვანი, თბილისის მუსლიმური თემი (1801-1917), თბილისი, 2021, გვ. 181.

[2] ივერია, №75, 1905, გვ. 1.

მიუხედავად ამ წინააღმდეგობებისა, თბილისში ირანის საკონსულო და ადგილობრივი შეძლებული ირანელები გაჭირვებული თანამოქალაქეების მდგომარეობის შემსუბუქებას ერთჯერადი ქველმოქმედებით ცდილობდნენ. ასეთი ქველმოქმედების ნიმუშებია თბილისში ირანის გენერალური კონსულების მიერ საავადმყოფოების მშენებლობა. როგორც ზემოთ აღვნიშნე, ასეთი ქველმოქმედება, ძირითადად, სიტუაციურ ხასიათს ატარებდა და კონკრეტული ვითარებით, საავადმყოფოების შემთხვევაში კი რეგიონში ეპიდემიებით იყო ხოლმე გამოწვეული. ირანელების მიერ პირველი საავადმყოფოს აგება გენერალური კონსულის მირზა მაჰმუდ ხან ალა ალ-მოლქის (1842/43 – 1925/26, კონსული 1877-82 წლებში) სახელს უკავშირდება. საავადმყოფო 1878/79 წელს აიგო, როცა ირანში ჭირი (ჟამი) გაჩნდა და ირან-საქართველოს შორის გაცხოველებული ვაჭრობის ფონზე თბილისელ ირანელებში სწრაფად გავრცელდა. 1878 წლის გაზეთ „დროების“ ინფორმაციით, ეპიდემია იმდენად საშიში იყო, რომ „საზღვრების შეკვრაც“ კი გახდა საჭირო, რითიც „ბევრ თფილისელ ვაჭრებს, განსაკუთრებით სპარსელებს, რომელნიც სპარსული საქონლით … ვაჭრობენ, დიდი ზიანი მიადგათ, რადგან საქონელი არ მოუდისთ“.[3] ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად ირანის გენერალური კონსულის მირზა მაჰმუდ ხანის ინიციატივითა და ადგილობრივი შეძლებული ირანელების შემოწირულობებით თბილისელი ირანელებისთვის საავადმყოფო აშენდა.

ამ ფაქტის შესახებ ცნობას გვაწვდის ლექსი-ქრონოგრამა, რომელიც ირანელ ვაჭარსა და პოეტს სეიდ მოჰამად თაყი ანდალიბ ქაშანის ეკუთვნის. ლექსს ასევე ჰქვია: „ქრონოგრამა საავადმყოფოსი, რომელიც თბილისში ირანის კონსულმა მირზა მაჰმუდ ხანმა ააგო“[4]. ანდალიბ ქაშანის საქართველოსთან როგორც სავაჭრო, ისე მეგობრული ურთიერთობები აკავშირებდა და თბილისს ხშირად სტუმრობდა. ამ მჭიდრო ურთიერთობის დამადასტურებელია ის ფაქტი, რომ თბილისის ხელისუფლებას ის ორჯერ (1869 და 1878 წლებში) დაუჯილდოებია ოქროს მედლებით. პოეტის სიტყვებით, თბილისი სავსე იყო გაჭირვებული, დაუძლურებული და მტირალი ირანელებით, რომლებიც უცხოობაში ისეთი თავგზააბნეულები იყვნენ, როგორც „ქსელი მისაქსელის გარეშე“. მათ დასახმარებლად მირზა მაჰმუდ ხანმა შეძლებული ირანელები შეკრიბა და მათ ქველმოქმედებისკენ მოუწოდა:

„უბრძანა: ირანის ღირსეულო მოქალაქენო და დიდებულნო,
ღვთის გულისათვის, დიდსულოვნება გამოიჩინეთ.
ქალაქ თბილისში საავადმყოფო უნდა ავაშენოთ,
რათა გაჭირვებულ ავადმყოფებს ვუშველოთ“[5].

ირანელმა დიდებულებმა ეს ინიციატივა ენთუზიაზმით აიტაცეს და მალე კონსულის ნება საქმით დაგვირგვინდა: აღიმართა „დიდებული შენობა“, რომელიც სრულად იყო აღჭურვილი საწოლებითა და მედიკამენტებით, ხოლო გამოცდილ სამედიცინო პერსონალს „ლოყმანივით[6] ბრძენი“ და „დაუდივით[7] ტკბილხმოვანი“ ექიმი

[3] დროება, # 60, 1878, გვ. 1-2.

[4] Divan-e ‘Andalib Kashani, Istanbul, 1313/1895-96, გვ. 66; საქართველო ყაჯართა პერიოდის სპარსულ წყაროებში. სამოგზაურო და მემუარული ლიტერატურა, კრებული შეადგინა, ტექსტები სპარსულიდან თარგმნა, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთო მ. ალექსიძემ, თბილისი, 2016, გვ. 642-44.

[5] იქვე, გვ. 643.

[6] ლოყმანი (ლოკმანი) ნახევრადლეგენდარული არაბი ბრძენი და მეიგავე იყო, რომლის სახელიც სპარსულ პოეზიაში სიბრძნის სიმბოლოდ იქცა.

ხელმძღვანელობდა. საავადმყოფო გაიხსნა ჰიჯრის 1296 წელს ანუ ქრისტიანული წელთაღრიცხვით 1878/79 წელს, რაზეც ლექსის ბოლო სტრიქონებში დაფარული ქრონოგრამა მიანიშნებს:

„ამ მშენებლობის თარიღი ანდალიბ ქაშანიმ
რვეულში ჩაწერა ლექსად, რომელიც მანსურის მარგალიტზე[8] უკეთესია.
ამ თარიღის მისანიშნებლად სიხარულით წარმოთქვა:
საავადმყოფო აშენდა მაჰმუდის ძალისხმევით“[9].

ქრონოგრამის გასაღები მოთავსებულია ლექსის ბოლო სტრიქონში (ბოლო მისრაში) და აბჯადის სისტემის მიხედვით 1296 (1878/79) წელია.

ირანელების მიერ თბილისში მეორე საავადმყოფოს მშენებლობა 1890-იან წლებში რეგიონში ქოლერის ეპიდემიის გავრცელებას უკავშირდება. ამჯერადაც ინიციატორი თბილისში ირანის საკონსულო და, კერძოდ, გენერალური კონსული მირზა რეზა ხან არფა ად-დოულე იყო. თბილისში მცხოვრები ირანელი ვაჭრებისა და ხელოსნების შემოწირულობებით (დაახლოებით, 5000 მანეთი) ირანის საკონსულომ თბილისის თვითმართველობისგან მუსლიმური უბნის მიმდებარედ ცარიელი ტერიტორია შეიძინა და ზედ ღარიბთა თავშესაფარი და საავადმყოფო ააშენა. საავადმყოფო ხის იყო და 80 კაცისა და 25 ქალისთვის იყო განკუთვნილი. გენერალური კონსულის მემუარებიდან ვიგებთ, რომ მშენებლობაში „არაირანელი ვაჭრები და ხელოსნებიც, ძირითადად, სომხები და ქრისტიანები“ იღებდნენ მონაწილეობას და, შესაბამისად, „საავადმყოფოში მარტო ირანელებს კი არა, ქოლერით დაავადებულ ნებისმიერ ადამიანს შეეძლო ემკურნალა“[10]. საავადმყოფოს აშენებამდე კი საკონსულომ თავის თავზე აიღო ირანის ქვეშევრდომ ღარიბთათვის სადგომების დაქირავება და მათი დეზინფიცირება. კონსულის ბრძანებით, თაჯარ-ბაშმა (დიდვაჭარმა) რეზაიოვმა დააარსა ორი სანიტარული კანტორა, ერთი ვერაზე და მეორე თბილისის VI საპოლიციო უბანში და ისინი სადეზინფექციო წამლებით აღჭურვა.[11] ამ ფაქტს აღტაცებით გამოეხმაურა გაზეთი „ივერია“.[12]

აღსანიშნავია, რომ მირზა რეზა ხანი, რომელმაც თბილისში თითქმის ოცი წელი გაატარა ჯერ თბილისის შიიტური სასწავლებლის მოწაფის (1976-1878), მერე ირანის საკონსულოს თანამშრომლის (1878-1888) და ბოლოს გენერალური კონსულის (1889-1895) რანგში, კარგად აცნობიერებდა საქველმოქმედო საქმიანობის გაფართოებისა და კონკრეტულად საგანმანათლებლო საქველმოქმედო საზოგადოების გახსნის აუცილებლობას, რაც უბრალო ირანელებში განათლების დონის ამაღლებას შეუწყობდა ხელს. ამ ინიციატივით მან თბილისში მცხოვრებ შეძლებულ ირანელებს 1881 წლის 11 მაისს მიმართა: „გთავაზობთ, თუ თქვენ დამეთანხმებით, დავაარსოთ სამეცნიერო საზოგადოება, რომლის მიზანი უნდა იყოს შემდეგი: 1. წიგნები, ყველა ფენისათვის სასარგებლო, გადაითარგმნოს სპარსულ და თათრულ ენებზე და გაიყიდოს ზომიერ ფასებში თანამემამულეებზე და ამის საშუალებით გავავრცელოთ მათში განათლება; 2.

---

[7] მუსლიმური გადმოცემებით, წინასწარმეტყველ დაუდს (შეესაბამება ბიბლიურ დავით მეფეს) ჯადოსნური ხმა ჰქონდა და როცა მღეროდა, ჩიტებიც მასთან ერთად გალობდნენ.

[8] სავარაუდოდ, მინიშნებაა ცნობილ ირანელ სუფ პოეტზე მანსურ ჰალაჯზე (858-922), ხოლო მარგალიტი (მარგალიტის ასხმულა) სპარსულ პოეზიაში ლექსის სიმბოლოა.

[9] საქართველო ყაჯართა პერიოდის სპარსულ წყაროებში. სამოგზაურო და მემუარული ლიტერატურა, გვ. 644.

[10] მ. ალექსიძე, გრ. ბერაძე, ი. კოშორიძე, არფა ად-დოულე და საქართველო, თბილისი, 2017, გვ. 15-16; 131.

[11] ნ. გელოვანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 181.

[12] ივერია, #133, 1892, გვ. 2.

ზოგიერთი ელემენტარული და საჭირო წიგნი, რომელიც აუცილებელია ბავშვთა განათლებისთვის, დავბეჭდოთ ახალი ანბანით „რუშთი“ და გაიყიდოს მსურველებზე; 3. გავხსნათ უფასო სასწავლებელი ტფილისში, სადაც მიიღებიან მუსლიმთა შვილები და ასწავლიან ენებს: არაბულს, სპარსულს, თათრულს, რუსულს და ფრანგულს. თანხმობის შემთხვევაში, თქვენ უნდა აირჩიოთ თავმჯდომარე, თანაშემწე და ნამდვილი წევრები ჩვენი წრიდან, რათა შეკრებილი თანხა ინახებოდეს მათთან და დროთა განმავლობაში დავააარსოთ სხვადასხვა წყაროებიდან ფონდი, თქვენი შეხედულებისამებრ, რათა თავის დროზე, საზოგადოების რჩევით, ეს თანხა დაიხარჯოს დანიშნულებისამებრ“.[13] ეს ინიციატივა კონკრეტულად ჩამოყალიბებული მიზნებითა და ამოცანებით და მათი შესრულების გზებით დამსწრეთა მიერ მხურვალედ იქნა მოწონებული, მაგრამ მირზა რეზა ხანმა მისი განხორციელება ვერ მოახერხა ვერც იმ ეტაპზე და ვერც შემდგომ, გენერალური კონსულის თანამდებობაზე მუშაობის დროს.

მეოცე საუკუნის დასაწყისიდან სიტუაცია ამ მხრივ რადიკალურად შეიცვალა როგორც ირანში, ისე თბილისელი ირანელების წრეში. სიტუაციური საქველმოქმედო საქმიანობის პარალელურად დაიწყო საქველმოქმედო საზოგადოებების დაარსება და ქველმოქმედებამაც უფრო ორგანიზებული სახე მიიღო. ჩვენ აქ მხოლოდ სპარსული საქველმოქმედო საზოგადოებებით შემოვიფარგლებით და არ შევეხებით თბილისში მოქმედ ზოგადად მუსლიმურ საქველმოქმედო ორგანიზაციებს მიუხედავად იმისა, რომ მათ მუშაობაში თბილისელი ირანელებიც აქტიურად მონაწილეობდნენ. 1904 წელს თბილისში დაარსდა ღარიბ სპარსელ ქვეშევრდომთა დახმარების საზოგადოება, რომელსაც საკუთარი წესდება ჰქონდა[14]. 1905 წელს კი რუსეთში ირანის ელჩის მირზა ჰასან ხან მოშირ ად-დოულესა და თბილისში ირანის გენერალური კონსულის მოფახამ ას-სოლთანის თაოსნობით დაფუძნდა „ტფილისელ სპარსელთა“ საქველმოქმედო საზოგადოება „ეთეფაყ-ე ირანიან“ („ირანელთა კავშირი“). თბილისელი შეძლებული ირანელების შემოწირულობებით საზოგადოებისთვის აიგო სპეციალური შენობა, რომლის გახსნის საზეიმო ცერემონიას 1907 წლის 3 იანვარს ასე აღწერს ცნობილი აზერბაიჯანელი საზოგადო მოღვაწე მირზა ებრაჰიმ ხან შარაფ ად-დოულე: „ცერემონიაზე თბილისში მცხოვრები მთელი ირანელი პატრიოტები და წარჩინებულები და კავკასიელი დიდგვაროვნები შეიკრიბნენ. ჩვენ გასამასპინძლებლად მაგიდაზე ტკბილეულობა, ხილი და სხვა სანოვაგე ეწყო. მას შემდეგ, რაც ტკბილეულობა მივირთვით და ჩაი დავლიეთ, სიტყვით გამოსვლები დაიწყო. მისმა აღმატებულება ჰაჯი სეიდ ბაყერ აყამ ბრწყინვალე სიტყვა წარმოთქვა... ამის შემდეგ მისმა აღმატებულება კონსულმა საკონსულოში სადილად დაგვპატიჟა ... საღამოს კი თეატრში წავედით“[15].

საზოგადოება თავიდან მხოლოდ კერძო შემოწირულობებით ფუნქციონირებდა, მაგრამ შემდეგ მათ დააფუძნეს ფონდი, რომელიც თანხების მობილიზებითა და მისი უძრავ ქონებაში დაბანდებით იყო დაკავებული. აღსანიშნავია, რომ ასეთი ფონდის დაარსების მოწოდებით ჯერ კიდევ 1881 წელს მიმართა გენერალური კონსულის თანაშემწემ არფა ად-დოულემ თბილისში მცხოვრებ შეძლებულ ირანელებს, მაგრამ იმ ეტაპზე ეს ინიციატივა ვერ განხორციელდა. 1916 წლის 25 იანვარს საზოგადოებამ ფონდის მიერ შეგროვილი თანხებით, კერძოდ, 150 000 რუბლად შეიძინა ფუნდუკი სხვადასხვა ნაგებობებით, მათ შორის სასტუმროთი და ფეხსაცმლის სახელოსნოთი.[16] საზოგადოების მოღვაწეობა, ძირითადად, საგანმანათლებლო საქმიანობით შემოიფარგლებოდა, თუმცა

[13] ნ. გელოვანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 181.
[14] იქვე, გვ. 185.
[15] საქართველო ყაჯართა პერიოდის სპარსულ წყაროებში. სამოგზაურო და მემუარული ლიტერატურა, გვ. 565-66.
[16] ნ. გელოვანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 560.

მისი ფუნქცია იყო ზოგადად გაჭირვებულ ირანელებზე ზრუნვა, კერძოდ, ობლებისა და ღარიბი მოსწავლეების საარსებო პირობების გაუმჯობესება, მათი დაკმაყოფილება ფეხსაცმლითა და სამოსით, უქონელი ირანელების დაკრძალვა და სხვა.

საზოგადოებამ შეიმუშავა სასკოლო წესდება[17], რომლის საფუძველზე 1907 წელს გახსნა მედრესე „ეთეფაყი“ (შემოკლებული ფორმა საზოგადოების სახელისა „ეთეფაყ-ე ირანიან“). მედრესე მუსლიმურ უბანში ე.წ. „შეითან ბაზარში“ მდებარეობდა და ამიტომ ხალხი მას „შეითან ბაზრის სკოლასაც“ ეძახდა. „სპარსეთის ქვეშევრდომ მუსულმანთა სკოლის“ გახსნა ფართოდ გაშუქდა პრესაში. 1907 წლის 13 სექტემბრის გაზეთი „ჩვენი დროება“ ასე გამოეხმაურა ამ მოვლენას: „11 სექტემბერს გაიხსნა თფილისში ახალი სკოლა სპარსელ ქვეშევრდომთა ბავშვებისათვის. სკოლის გახსნას დაესწრნენ სხვა და სხვა მუსულმანთა დაწესებულების წარმომადგენელნი, საგუბერნიო კაზიები, კავკასიის სამოსწავლო ოლქის წარმომადგენელი, ბევრი ქართველები და სომხებიც. მრავალი სიტყვა იქნა წარმოთქმული. სკოლას შეინახავს მუსულმანთა საქველმოქმედო საზოგადოება“[18]. წესდების მიხედვით, სკოლის მიზანი იყო თბილისელი ირანელებისთვის განათლების მიცემა. სკოლას ჰყავდა ზედამხედველი - სპარსეთის ქვეშევრდომი, რომელიც აწარმოებდა ოფიციალურ მიმოწერას და ყოველი სასწავლო წლის ბოლოს წარადგენდა ანგარიშს სასწავლებლის მდგომარეობის შესახებ. როგორც ჩანს, სკოლას თავიდანვე სერიოზული პრობლემები ჰქონდა. ცნობილი ირანელი განმანათლებლის, საზოგადო მოღვაწისა და პუბლიცისტის იაჰია დოულათაბადის (1862-1939) შეფასებით, „საზოგადოება „ეთეფაყს“ მშვენიერი წესდება აღმოაჩნდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ირანში მოქმედი საზოგადოებების მსგავსად აქაც ჩანაფიქრი ქაღალდზე დარჩა და სიტყვიდან საქმეზე გადასვლა ვერ მოახერხეს. საზოგადოების წევრებს დიდხანს ვესაუბრე და ვუთხარი: „ქვეყნისა და ხალხის კეთილდღეობისთვის ბრძოლაში ირანში კავკასიელი მუსლიმების იმედი აქვთ, კავკასიაში - თბილისის, თბილისში კი ამ მიმართულებით მხოლოდ ერთი საზოგადოება ფუნქციონირებს და იქაც ისეთი ვითარებაა, რომ ჯერ თავიანთი საშინაო საქმეები ვერ მოუგვარებიათ და საგარეო საქმეებისთვის როდისღა მოიცლიან“. თან ვუსაყვედურე, თან გავამხნევე და საბოლოოდ გადაწყდა, რომ წესდების შესრულებას შეეცდებოდნენ, „ეთეფაყის“ სკოლის დირექტორად ვინმე ღირსეულ სწავლულს დანიშნავდნენ და საქველმოქმედო საზოგადოებისა და სკოლის აყვავებას ხელს შეუწყობდნენ“[19]. სკოლამ ფუნქციონირება გააგრძელა, მაგრამ, როგორც ჩანს, ვითარება დიდად არ გამოსწორებულა. სკოლის ბოლო დირექტორის, ირანის განათლების სამინისტროს მიერ თბილისში მივლინებული ალი ჯავაჰერ ქალამის მოგონებებიდან ვიგებთ, რომ მას სკოლაში ბევრი პრობლემა დახვდა: უპირველეს ყოვლისა, არ ჰყავდათ ირანიდან ჩამოსული მასწავლებლები და ადგილობრივი, ძირითადად, თურქულენოვანი მასწავლებლების იმედად იყვნენ. შესაბამისად, მოწაფეებმა, რომლებიც ოთხ სავალდებულო ენას - თურქულს, ქართულს, რუსულს და სპარსულს სწავლობდნენ, სრულყოფილად არცერთი ენა არ იცოდნენ. ამდენად, ამ სკოლის კურსდამთავრებულებს არანაირი პერსპექტივა არ ჰქონდათ: არც ირანში წასვლა და იქ სპარსული ენის სრულყოფა შეეძლოთ და არც ადგილობრივ უმაღლეს სასწავლებლებში შესვლა, რადგან სათანადო რუსულ ენას არ ფლობდნენ[20]. როგორც ჩანს, სკოლა ამიერკავკასიაში პანთურქისტული პროპაგანდის

[17] სკოლა „ეთეფაყის“ წესდების შესახებ დაწვრილებით იხ.: ნ. გელოვანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 554-56.

[18] იქვე, გვ. 552-53.

[19] საქართველო ყაჯართა პერიოდის სპარსულ წყაროებში. სამოგზაურო და მემუარული ლიტერატურა, გვ. 572-73.

[20] საქართველო ყაჯართა პერიოდის სპარსულ წყაროებში. სამოგზაურო და მემუარული ლიტერატურა, , გვ. 612.

გავლენის ქვეშ მოექცა. ამ პოლიტიკის განმახორციელებელი იყო სკოლის მზრუნველი და მასწავლებელი ახუნდი ჰასან მოლა-ზადე, რომელიც პარალელურად თბილისში პანთურქისტული პროპაგანდის მნიშვნელოვანი ცენტრის თურქულ-ირანული საზოგადოების „საქველმოქმედო პარტნიორობა“ ხელმძღვანელი იყო.[21] საბჭოთა პერიოდში პოლიტიკურ ფაქტორს დაემატა ეკონომიკური ფაქტორიც: ირანელთა საქველმოქმედო საზოგადოებას „ეთეფაყ-ე ირანიან“ ჩამოერთვა ფუნდუკი და მიმდებარე შენობები, რამაც სკოლის ფუნქციონირება გაართულა და ის რამდენჯერმე დაიკეტა კიდეც. სპარსეთის დიპლომატიური წარმომადგენლობა ცდილობდა, კონფისკაციაქმნილი ფონდის და მისი კუთვნილი ქონების დაბრუნებას, მაგრამ საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატმა „მიზანშეწონილად მიიჩნია ფონდის დაბრუნების მაგივრად მოხსენებული სკოლა შეტანილ იქნას ტფილისის სკოლების ქსელში. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ტფილისის განათლების განყოფილება სკოლას და მის პედაგოგიურ პერსონალს ნივთიერად უფრო უზრუნველყოფს, ვიდრე ის ფონდი, რომლის დაბრუნების შესახებ ამჟამად საკითხია აღძრული“.[22] ამ მრავალჯერადი დახურვა-გახსნის ფონზე, სკოლამ 1931 წლამდე მაინც იარსება.

აქტიურ საზოგადოებრივ და, მათ შორის, საქველმოქმედო საქმიანობას ეწეოდნენ თბილისში პოლიტიკური ემიგრანტის ყაჯარი უფლისწულის ბაჰმან მირზას ოჯახის წევრები[23]. მათი ძალისხმევითა და მატერიალური დახმარებით თბილისსა და სხვა რეგიონებში გაიხსნა მუსლიმური დაწყებითი სკოლები, რომლებშიც სწავლა ღარიბი ოჯახების შვილებისთვის უფასო იყო. ამ მხრივ გამორჩეული იყო ბაჰმან მირზას ვაჟი გენერალი ამირ ყასემ მირზა (1853-1920) და მისი ოჯახი. თავად გენერალი 1910 წელს აირჩიეს კავკასიელ მუსლიმთა საქველმოქმედო საზოგადოების საპატიო წევრად. მისივე თაოსნობით 1912 წელს თბილისში დაფუძნდა აზერბაიჯანული დრამატული საზოგადოება, რომელიც სპეციალურ შენობაში მართავდა სპექტაკლებს აზერბაიჯანულ ენაზე. როგორც ჩანს, ამირ ყასემ მირზა თბილისში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა, რასაც შემდეგი ფაქტიც მოწმობს: როცა 1913 წელს ჟურნალ „მოლა ნასრედინს“ რუსული ხელისუფლების მხრიდან ანტირუსული ლექსის დაბეჭდვისთვის დახურვა ემუქრებოდა, ამირ ყასემ მირზამ და თბილისში ირანის ვიცეკონსულმა მირზა მოჰამად ხანმა რუსი ჩინოვნიკების ქმედება სასამართლოში გააპროტესტეს და პროცესი მოიგეს.[24]

ცალკე აღნიშვნის ღირსია ბაჰმან მირზას ოჯახის ქალები, რომლებიც ემანსიპაციის მხრივ თბილისელ მუსლიმებშიც კი გამოირჩეოდნენ: მათი უმეტესობა არა მარტო ევროპულად იცვამდა, არამედ საზოგადო ადგილებში თავდაუხურავი დადიოდა. სავარაუდოდ, ამ მხრივ დიდი როლი ითამაშა იმ წრემ, რომელშიც თბილისელი ყაჯარები ტრიალებდნენ. ეს იყო ცნობილი აზერბაიჯანელი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის მირზა ფათალი ახუნდოვისა და პირველი გილდიის ვაჭრის აყა ალესკერ ისმაილოვის ოჯახები, რომლებსაც ბაჰმან მირზა დაუმოყვრდა: ახუნდოვის ორი და ისმაილოვის სამი ქალიშვილი ყაჯარი პრინცესები გახდნენ. ამ ოჯახების პროგრესულ აზროვნებაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ მათი ქალიშვილები ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტში სწავლობდნენ. თანამედროვეთა ცნობით, ყაჯარი პრინცესების ემანსიპირებული მდგომარეობა თბილისელ მუსლიმებში გაღიზიანებას და კიცხვას იწვევდა. აყა ალესკერ ისმაილოვს კი ქალიშვილების ჩაცმულობისადმი ლოიალური დამოკიდებულება და მათი

[21] ნ. გელოვანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 557.

[22] იქვე, გვ. 559-560.

[23] თბილისში მცხოვრები ყაჯარების შესახებ დაწვრილებით იხ.: მ. ალექსიძე, ყაჯართა ოჯახის წევრები თბილისში, აღმოსავლეთმცოდნეობა, # 5, 2016, გვ. 344-350.

[24] Ш. Назирли, Генерал-майор Амир Казым Мирза Каджар, Каспий, 14 мая, 2011.

ინსტიტუტში სწავლა სიცოცხლის ფასად დაუჯდა: 1903 წელს მას ღამით სახლში შეუვარდნენ მუსლიმი ფანატიკოსები და მძინარე მოკლეს[25].

შემთხვევითი არ არის, რომ სწორედ აყა ალესკერ ისმაილოვის ქალიშვილი და ყასემ მირზა ყაჯარის მეუღლე გოუჰარ ხანუმ ისმაილოვა-ყაჯარი იყო თბილისში მუსლიმ ქალთა საქველმოქმედო საზოგადოების დამაარსებელი და წლების მანძილზე უცვლელი თავმჯდომარე. „მუსლიმ ქალთა საქველმოქმედო საზოგადოება კავკასიაში“ დაფუძნდა 1910 წელს. როგორც თბილისის 1912 წლის ცნობარი იუწყება, „საზოგადოება ბოტანიკური ქუჩის 2-ში ფუნქციონირებდა და ყაჯარი პრინცესა გოუჰარ ხანუმი მისი განმკარგულებელი კომიტეტის თავმჯდომარე იყო“[26]. საზოგადოება 45 ქალს აერთიანებდა და საკუთარი წესდება ჰქონდა[27]. გარდა თავმჯდომარისა, მას ჰყავდა ხაზინადარი და სარევიზიო კომისიის წევრები. საზოგადოებამ სახელი გაითქვა თავისი საქველმოქმედო სპექტაკლებით, რომლებსაც ქალები ესწრებოდნენ. საზოგადოების აქტიური წევრი იყო მხატვარი გეისარ სეიფულა კაშიევა, რომელიც აფორმებდა აფიშებსა და პლაკატებს საქველმოქმედო ღონისძიებებისთვის. პირველი მსოფლიო ომის დროს მუსლიმ ქალთა საქველმოქმედო საზოგადოებამ თბილისში დააარსა ობოლთა სახლი, რომელსაც ხელმძღვანელობდა ფატმა ხანუმ საფარ-აღა ტერეგულოვა[28].

საქველმოქმედო საზოგადოებაში მოღვაწეობის პარალელურად, მისი ცალკეული წევრები კერძო ქველმოქმედებასაც ეწეოდნენ. მაგალითად, ცნობილია, რომ ამირ ყასემ მირზა საკუთარი დანაზოგითაც ეხმარებოდა ღარიბი ოჯახების ბავშვებს, ჰამიდა ჯავანშირმა კი, რომელიც ჟურნალ „მოლა ნასრედინის“ რედაქტორის ჯალილ მამედ ყული-ზადეს ცოლი იყო, საკუთარი სახსრებით დააარსა სკოლა, სადაც ვაჟები და ქალები ერთად სწავლობდნენ. მისივე ინიციატივითა და ფინანსური მზრუნველობით გაიხსნა აგრეთვე საავადმყოფო და საქსოვი ფაბრიკა.[29]

1914 წელს დაწყებულმა მსოფლიო ომმა და მასთან დაკავშირებულმა პოლიტიკურ-სოციალურმა კრიზისმა გამოიწვია საქველმოქმედო საქმიანობის რეგრესი. ამას თან დაერთო რუსეთში რეჟიმის შეცვლა და ქვეყნიდან მდიდარი ადამიანების წასვლა. ბევრმა შეძლებულმა ირანელმა დატოვა თბილისი, რამაც საქველმოქმედო ორგანიზაციების საქმიანობა შეაფერხა. ომისშემდგომ წლებში საქველმოქმედო ორგანიზაციებმა განაახლეს მუშაობა და მათი საქმიანობა, განათლების სფეროს გარდა, მიმართული იყო გაჭირვებული მოსახლეობის საარსებო პირობების გაუმჯობესებისკენ.

[25] Ч. Каджар, Тифлис. Воронцовская 53 и 55, Баку, 2008, გვ. 43.

[26] Справочная книга по городу Тифлису, Тифлис, 1912, გვ. 104.

[27] Устав Мусульманского дамского благотворительного общества на Кавказе, Тифлис, 1912.

[28] ნ. გელოვანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 275.

[29] იქვე, 274.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ალექსიძე, მ. „ყაჯართა ოჯახის წევრები თბილისში.“ აღმოსავლეთმცოდნეობა, # 5, 2016.
2. ალექსიძე, მ., ბერაძე, გრ. კოშორიძე, ი. *არფა ად-დოულე და საქართველო.* თბილისი: არტანუჯი, 2017.
3. გელოვანი, ნ. *თბილისის მუსლიმური თემი (1801-1917).* თბილისი: თსუ, 2021.
4. *დროება*, № 60, 1878.
5. *ივერია*, #133, 1892.
6. *ივერია*, №75, 1905.
7. *საქართველო ყაჯართა პერიოდის სპარსულ წყაროებში. სამოგზაურო და მემუარული ლიტერატურა.* კრებული შეადგინა, ტექსტები სპარსულიდან თარგმნა, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთო მ. ალექსიძემ. თბილისი: არტანუჯი, 2016.
8. *Divan-e ‘Andalib Kashani*. Istanbul, 1313/1895-96.
9. Каджар, Ч. *Тифлис. Воронцовская 53 и 55*. Баку, 2008.
10. Назирли, Ш. „Генерал-майор Амир Казым Мирза Каджар.“ *Каспий*, 14 мая, 2011.
11. *Справочная книга по городу Тифлису*. Тифлис, 1912.
12. *Устав Мусульманского дамского благотворительного общества на Кавказе*. Тифлис, 1912